EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2012. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით (www.coe.int/humanrightstrustfund). სასამართლოსათვის იგი სავალდებულო ხასიათს არ ატარებს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ საავტორო უფლებების სრული მიმოხილვა მოცემული დოკუმენტის ბოლოს.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2012. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court. For further information see the full copyright indication at the end of this document.

© Conseil de l'Europe/Cour Européenne des Droits de l'Homme, 2012. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour. Pour plus de renseignements veuillez lire l'indication de copyright/droits d'auteur à la fin du présent document.

მესამე სექცია

საქმე
ფირუზიანი სომეხეთის წინააღმდეგ
(განაცხადი # 33376/07)

გადაწყვეტილება
[ამონარიდი]

სტრასბურგი

2012 წლის 26 ივნისი

საბოლოო

26/09/2012

კონვენციის 44-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით ეს გადაწყვეტილება საბოლოა და მასში მხოლოდ სარედაქციო ცვლილებების შეტანაა დასაშვები

.

საქმეზე ფირუზიანი სომხეთის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მესამე სექცია), პალატა შემდეგი შემადგენლობით:
ჯიზეფ კასადევალი, *თავმჯდომარე*
კორნელიუ ბირსანი,
ალვინა გულუმიანი,
ეგბერტ მაიერი
იან სიკუტა,
ლუის ლოპეს გუერა,
ნონა წოწორია, *მოსამართლე*
და სანტიაგო კუესადა, *სექციის გამწესრიგებელი*
2012 წლის 5 ივნისს გამართული დახურული თათბირის შემდეგ გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება რომელიც მიღებულია ამ დღეს:

პროცედურა

1. საქმის საფუძველია განაცხადი (#33376/07) სომხეთის წინააღმდეგ, რომლითაც სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის („კონვენცია“) 34-ე მუხლის საფუძველზე, 2007 წ. 25 ივლისს, მიმართა სომხეთის მოქალაქემ ბ–მა ქამო ფირუზიანმა („განმცხადებელი).

2. განმცხადებლებს წარმოადგენდა ქ–ნი ლ. საჰაკიანი და ბ-ნი ი. ვაროსიანი, ადვოკატები, რომლებიც საადვოკატო საქმიანობას ერევანში ახორციელებენ და ბ-ნი ა. გაზარიანი, არაპრაქტიკოსი იურისტი. ხოლო სომხეთის მთავრობას („მთავრობა“) წარმოადგენდა მისი სახელმწიფო წარმომადგენელი, ბ-ნი გ. კოსტანიანი, სომხეთის მთავრობის წარმომადგენელი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

3. განმცხადებელი აცხადებს, რომ მისი განთავსება რკინის გალიაში სასამართლო პროცესის დროს წარმოადგენდა დამამცირებელ მოპყრობას, მისი პატიმრობა 2007 წლის 19

თებერვლიდან 12 მარტამდე იყო უკანონო; სასამართლომ ვერ უზრუნველყო მისი გაჭიანურებული პატიმრობის დასაბუთება; მას არ ჰქონდა გირაოთი გათავისუფლების შესაძლებლობა წაყენებული მძიმე ბრალდების გამო; 2006 წლის 12 დეკემბერს ჩატარებული სასამართლო მოსმენა არ იყო შეჯიბრებითი და არ უზრუნველყოფდა მხარეთა თანასწორობას; მისი არგუმენტები საფუძვლიანი ეჭვის არ არსებობის შესახებ არ იყო ადექვატურად გააზრებული და სააპეალციო სასამართლომ უარი თქვა მისი 2007 წლის 27 იანვრის სააპელაციო სარჩელის განხილვაზე.

4. 2010 წლის 21 იანვარს სასამართლომ მთავრობას გააცნო განცხადება. ასევე გადაწყვეტილება იქნა მიღებული საქმის დასაშვებობაზე და განცხადების არსებით მხარეზე (მუხლი 29 ნაწილი 1)

ფაქტები

I. საქმის ფაქტობრივი გარემოებები

5. განმცხადებელი დაბადებულია 1978 წელს და ცხოვრობს ერევანში;

6. განმცხადებლის თანახმად 2006 წლის 18 ოქტომბერს დილის 9 საათსა და 20 წუთზე იგი გადაიყვანეს პოლიციის ადგილობრივ განყოფილებაში ქალაქ ალავერდში შეიარაღებული თავდასხმის გამო, რომელიც იმ დილით მოხდა. მისი დაკავება არ იყო ოქმით რეგისტრირებული და რამოდენიმე საათში ის გაათავისუფლეს.
7. 2006 წლის 19 ოქტომბერს მომჩივანის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 175-ე მუხლის მეორე ნაწილის მე-2ე და მე-4-ე პუნქტების საფუძველზე. სისხლის სამართლებრივი დევნის აღძვრა მოხდა მსხვერპლის, გ.ჰ., განცხადების საფუძველზე, რომელიც იმავე შენობაში ცხოვრობდა რომელშიც მომჩივანი. გ.ჰ-ს განცხადებით 2006 წლის 18 ოქტომბერს

საღამოს 8 საათსა და 45 წუთზე განმცხადებელი, რომელსაც სახეზე ნიღაბი ეკეთა თავს დაესხა მას შენობის პირველ სართულზე, თავში ჩაარტყა რკინის ჯოხი და ხელიდან გამოსტაცა პორტფელი, რომელიც სავსე იყო ძვირადღირებული სამკაულებით.

8. იმავე დღის საღამოს 8 საათზე განმცხადებელი ოფიციალურად დააკავეს ზემოთ ხსენებული დანაშაულის ჩადენის საფუძვლით. დაკავების ოქმს განმცხადებელმა მოაწერა ხელი.

9. 2006 წლის 22 ოქტომბერს განმცხადებელს ოფიციალურად წაუყენეს ბრალი ძარცვის ჩადენაში ზემოთ ხსენებული მუხლის საფუძველზე. ბრალდების ოქმში დაკონკრეტებულია რომ ინციდენტის შემდეგ მსხვერპლი დაედევნა განმცხადებელს, რომელიც იძულებული იყო დაეგდო პორტფელი და გაქცეულიყო. ამ ოქმს ხელი მოაწერა განმცხადებელმა.

10. იმავე დღეს გამომძიებელმა სარჩელით მიმართა ლორის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა განმცხადებლის პატიმრობა ორი თვის ვადით იმ საფუძვლით რომ იგი ადრე ნასამართლევი იყო დანაშაულისთვის რომელიც განეკუთვნებოდა მძიმე დანაშაულის კატეგორიას და არსებობდა საშიშორება რომ ის მართლმსაჯულებას მიემალებოდა.

11. იმავე დღეს რაიონულმა სასამართლომ გამოიკვლია და დააკმაყოფილა გამომძიებლის მოთხოვნა იმ საფუძვლით რომ საქმის მასალები იძლეოდა საკმარის საფუძველს იმის ფიქრისთვის რომ განმცხადებელი შესაძლოა მიმალვოდა მართლმსაჯულებას და ხელი შეეშალა გამოძიებისთვის, სადაო დანაშაულის ბუნებიდან და სიმძიმის ხარისხიდან გამომდინარე.

12. 2006 წლის 8 დეკემბერს გამომძიებელმა მოითხოვა განმცხადებლის პატიმრობის ვადის 2 თვით გახანგრძლივება. განაცხადში ეწერა რომ გამოძიების პროცესში ჩატარდა რამოდენიმე გამოკვლევა, მათ შორის ქიმიური და ბიოლოგიური გამოკვლევა და ასევე დანაშაულის კვალის გამოკვლევა. მაგრამ დამატებით საჭირო იყო ბიოლოგიური გამოკვლევის ჩატარებაა და ბრალის შეცვლა. გამომძიებელმა განაცხადა რომ თუ

მოხდებოდა მომჩივანის გათავისუფლება პატიმრობიდან ის მიემალებოდა მართლმსაჯულებას ვინაიდან მან ჩაიდინა სერიოზული დანაშაული და შესაძლოა ჩაედინა სხვა სამართალდარღვევა ვინაიდან ის წარსულში ნასამრთლევია. მას არ უღიარებია დანაშუალი და შესაძლოა ხელი შეეშალა გამოძიებისთვის. საკუთარი არგუმენტების გამყარების მიზნით გამომძიებელმა საქმის მასალები წარადგინა როგორიცაა სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილება, დაკავების ოქმი და ბრალის წაყენების გადაწყვეტილება.

13. 2006 წლის 12 დეკემბერს რაიონულმა სასამართლომ გამოიკვლია გამომძიებლის განაცხადი. განმცხადებელი ესწრებოდა ამ განხილვას და იჯდა საკუთარი ადვოკატის გვერდით.

14. განმცხადებელმა გააპროტესტა გამომძიებლის განაცხადი და სასამართლოს მოსთხოვა მისი გირაოთი გათავისუფლება. მან განაცხადა რომ საფუძვლიანი ეჭვი მის მიერ დანაშაულის ჩადენის არ არსებობდა. ის ფაქტი რომ მას წარსულში აქვს ჩადენილი დანაშაული არ ამართლებს მის პატიმრობას მოცემულ საქმეში. რაიონულმა სასამართლომ ამ საკითხზე განაცხადა რომ ის არ ახდენდა საქმის არსებით განხილვას მოცემულ ეტაპზე, მათ შორის არც განმცხადებლის ბრალეულობის საკითხის, არამედ მსჯელობდა განმცხადებლის პატიმრობის ვადის გახანგრძლივების მოთხოვნის სამართლიანობაზე. დამნაშავეობის საკითხსა და საფუძვლიანი ეჭვის არსებობას შორის განსხვავებაა.

15. ამაზე განმცხადებემა განაცხადა რომ მისი დაკავების სამართლიანობისთვის საკმარისი მტკიცებულებები არ არსებობდა. განმცხადებლის მოთხოვნაზე გამომძიებელს წარმოედგინა მტკიცებულება, გამომძიებელმა აღიარა რომ მსგავსი მტკიცებულება არ იყო ხელმისაწვდომი. მან განაცხადა რომ რამოდენიმე გამოკვლევა განხორციელდა და საჭირო იყო სისხლის ნიმუშის აღება იმის დასადგენად განმცხადებლის სისხლის ჯგუფი ემთხვეოდა თუ არა დაზარალებულის ფეხსაცმელზე აღმოჩენილი სისხლის კვალს. ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე მოსამართლემ გამომძიებელს მოსთხოვა წარმოედგინა საქმის ყველა

მასალა. ცოტახანში მოსამართლე გავიდა სათათბირო ოთახში.

16. რაიონულმა სასამართლომ მას შემდეგ რაც გამოიკვლია გამომძიებლის განაცხადი და საქმის მასალები რომელიც ამტკიცებდა მოთხოვნის საფუძვლიანობას, გადაწყვიტა ნაწილობრივ დაეკმაყოფილებინა გამომძიებლის მოთხოვნა და გააგრძელა განმცხადებლის პატიმრობა ერთი თვის ვადით - 2007 წლის 19 იანვრამდე - იმ საფუძვლით რომ 2006 წლის 8 დეკემბერს გამომძიებელმა მოითხოვა ბიოლოგიური გამოკვლევა, რომელიც ჯერ დასრულებული არ იყო. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე სასამართლომ დაადგინა უარი ეთქვა განმცხადებლის მოთხოვნაზე გათავისუფლებულიყო გირაოთი იმ საფუძვლით რომ მას სერიოზული დანაშაულის ჩადენა ედებოდა ბრალად.

17. 2006 წლის 27 დეკემბერს განმცხადებელმა სააპელაციო სარჩელით მიმართა სასამართლოს. მან განაცხადა, *inter alia,* რომ არ არსებობდა საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ მან ჩაიდინა დანაშუალი. გამომძიებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები საკუთარი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, როგორიცაა სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ გადაწყვეტილება, დაკავების ოქმი და ბრალის წაყენების გადაწყვეტილება, არ არის საკმარისი საფუძვლიანი ეჭვის დასამტკიცებლად. რაიონულმა სასამართლომ უარი თქვა საფუძვლიანი ეჭვის საკითხის განხილვაზე. ამასთანავე განმცხადებელი დაობდა იმ საკითხზე რომ მის მიერ მომავალში დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობა ემყარებოდა მხოლოდ იმ ფაქტს რომ ის წარსულში ნასამართლევი იყო. ამასთანავე, არ არსებობდა კონკრეტული მტკიცებულება იმისა რომ ის თავს აარიდებდა მართლმსაჯულებას და მხოლოდ ბიოლოგიური შემოწმების ჩატარების საჭიროება არ უნდა ყოფილიყო მისი განგრძობადი პატიმრობის საფუძველი. და ბოლოს, განმცხადებელი აცხადებდა რომ რაიონულ სასამართლოში გამართული საქმის წარმოება არ იყო შეჯიბრებითი და ლახავდა მხარეთა თანასწორობის პრინციპს ვინაიდაინ თავმჯდომარე მოსამართლემ სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას არ გამოიძია არცერთი მტკიცებულება

რომელიც გახდებოდა საფუძვლიანი ეჭვის საფუძველი, მიიღო მთლიანი საქმის მასალები გამომძიებლისგან სანამ გავიდოდა სათათბირო ოთახში. განმცხადებელს არ მიეცა საშუალება რომ გაცნობოდა საქმის ამ მასალებს და გაეკეთებინა კომენტარი.

18. 2007 წლის 25 იანვარს სიხლის და სამხედრო სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება. სასამართლომ განაცხადა რომ საგამოძიებო ორგანომ წარმოადგინა კონკრეტული მტკიცებულება რომელიც ასაბუთებდა განმცხადებლის ბრალს და მის ინციდენტში ჩართულობას. ამიტომ, არსებობდა საფუძვლიანი ეჭვი იმისა რომ განმცხადებელმა ჩაიდინა დანაშაული. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა რომ არსებობდა საჭიროება განმცხადებლის პატიმრობის ვადის გაგრძელების სავარაუდოდ მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმიდან და ბუნებიდან გამომდინარე და ასევე რომ ის შესაძლოა მიმალვოდა მართლმსაჯულებას ან ხელი შეეშალა გამოძიებისათვის. სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა გირაოთი გათავისუფლების თაობაზე იმავე საფუძვლით. სააააპელაციო სასამართლომ მიიჩნია რომ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გაეგრძელებინა პატიმრობის ვადა და უარი ეთქვა გირაოზე კარგად დასაბუთებული და საფუძვლიანი იყო და არ არსებობდა არანაირი მიზეზი ამ გადაწყვეტილების შეცვლის.

19. 2007 წლის 9 იანვარს გამომძიებელმა შეიტანა სარჩელი განმცხადებლის პატიმრობის კიდევ ერთი თვით გახანგრძლივების თაობაზე იმავე საფუძვლებით.

20. 2007 წლის 12 იანვარს რაიონულმა სასამართლომ გამოიკვლია გამომძიებლის მოთხოვნა. განმცხადებელი ესწრებოდა ამ განხილვას და იჯდა საკუთარი ადვოკატის გვერდით. მან გააპროტესტა გამომძიებლის მოთხოვნა და სასამართლოს მოსთხოვა გირაოთი გათავისუფლება. რაიონულმა სასამართლომ დააკმაყოფილა გამომძიებლის მოთხოვნა და ერთი თვით 19 თებერვლამდე გაახანგრძლივა პატიმრობის ვადა და ამ გადაწყვეტილების საფუძველი იყო ის რომ გამომძიებელმა მოითხოვა რამოდენიმე სახის გამოკვლევა რომლებიც ჯერ არ დასრულებულა.

სასამართლომ განმცხადებელს უარი უთხრა გირაოს მოთხოვნაზე იმავე საფუძვლებით რაც ადრე.

21. განმცხადებელმა გაასაჩივრა გადაწყვეტილება 2007 წლის 27 იანვარს;
22. 2007 წლის 8 თებერვალს ბრალდება განმცხადებლის მიმართ შეიცვალა. პირველად ბრალდებას დაემატა დანაშაულის განმეორებით ჩადენა და მკვლელობის მცდელობის ბრალდებები.
23. 2007 წლის 16 თებერვალს გამოძიება დასრულდა და განმცხადებელს გადაეცა საქმის მასალები სრულად.
24. 2007 წლის 19 თებერვალს განმცხადებლის პატიმრობის ვადა დადგენილი 2007 წლის 12 იანვარს ამოიწურა.
25. იმავე დღეს პროკურორი დაეთანხმა ბრალდებას და საქმე გადაიგზავნა ლორის რაიონულ სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისთვის.
26. იმავე დღეს სააპელაციო სასამართლომ გადაწყვიტა არ ემსჯელა განმცხადებლის სააპელაციო სარჩელზე რომელიც 2007 წლის 27 იანვარს იყო სასამართლოში წარდგენილ იმ საფუძვლით რომ გამოძიება დასრულდა და რომ საქმე გადაიგზავნე რაიონულ სასამართლოში.
27. 2007 წლის 5 მარტს განმცხადებელმა მიმართა რაიონულ სასამართლოს სარჩელით სადაც განაცხადა რომ 2007 წლის 19 თებერვლიდან მისი პატიმრობა იყო უკანონო და მოითხოვა განთავისუფლება. მსგავსი განაცხადი გაეგზავნა იმ ციხის უფროსს სადაც განმცხადებელი იყო განთავსებული.
28. 2007 წლის 6 მარტის წერილით საპატიმროს ხელმძღვანელმა უარით უპასუხა განმცახდებელს და მიუთითა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 138-ე მუხლზე და გარემოებაზე რომ საქმე გადაეცა რაიონულ სასამართლოს.
29. 2007 წლის 12 მარტს რაიონულმა სასამრთლომ იმავე საფუძვლით არ დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა.
30. იმავე დღეს რაიონულმა სასამართლომ გადაწყვიტა განმცხადებლის სისხლის სამართლის საქმის განხილვა ჩაენიშნა. გადაწყვეტილებაში ნათავმი იყო რომ განმცხადებლის პატიმრობა არ შეიცვლებოდა.

...

37. 2007 წლის 8 აგვისტოს სასამართლო განხილვაზე განმცხადებელმა რაიონულ სასამართლოს თხოვნით მიმართა

შეეცვალა მისი პატიმრობის გადაწყვეტილება ან გირაოთი გაეთავისუფლებინა იგი პატიმრობიდან. მან განაცხადა რომ ის თითქმის 10 თვის განმავლობაში იმყოფებოდა პატიმრობაში. არ არსებობდა სამართლებრივი საფუძველი მისი პატიმრობის ვადის გახანგრძლივების ვინაიდან ყველა მოწმე უკვე დაკითხული იყო და მას არანაირი საშუალება არ ჰქონდა მოეხდინა ზემოქმედება გამოძიებაზე. პროკურორმა გააპროტესტა მოთხოვნა და განაცხადა რომ ვერ მოხდება განმცხადებლის პატიმრობიდან გათავისუფლება გირაოს საფუძველზე ვინაიდან მას ჩადენილი ჰქონდა სერიოზული დანაშაული. რაიონულმა სასამართლომ გადაწყვიტა არ დაეკმაყოფილებინა განმცხადებლის მოთხოვნა იმ საფუძვლით რომ საქმის გამოკვლევა ჯერ არ იყო დასრულებული და არ არსებობდა საკმარისი საფუძვლები მისი სასჯელის შეცვლისთვის ან გირაოთი გათავისუფლებისთვის.

38. 2007 წლის 6 სექტემბერს საკასაციო სასამართლომ გადაწყვიტა დაებრუნებინა განმცხადებლის საპელაციო სარჩელები წარდგენილს 2007 წლის 24 ივლისს და 18 აგვისტოს მტკიცებულებების და არგუმენტების ნაკლებობის გამო.

39. დაუზუსტებელ დღეს პროკურორმა გადაწყვიტა უარი ეთქვა ბრალდებაზე და რაიონული სასამართლოსგან მოითხოვა განმცხადებლის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა იმ საფუძვლით რომ მოპოვებული მკიცებულებები არ იყო საკმარისი მისი ბრალის დასამტკიცებლად.

40. 2007 წლის 5 დეკემბერს ლორის რაიონულმა სასამართლომ გადაწყვიტა დაეკმაყოფილა მოთხოვნა და შეეწყვიტა სისხლის სამართლის საქმის წარმოება განმცხადებლის მიმართ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 35-ე მუხლის მეოთხე ნაწილის მიხედვით.

41. იმავე დღეს განმცხადებელი გაათავისუფლეს პატიმრობიდან.

II. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა

ა. სისხლის სამართლის კოდექსი (ძალაშია 2003 წლის 1 აგვისტოდან)

42. მე-19-ე მუხლის მიხედვით, დანაშაული, მათი ბუნებიდან და საზოგადოებისათვის საფრთხის ხარისხიდან გამომდინარე

იყოფა ნაკლებად მძიმე, საშუალო სიმძიმის, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიებად. წინასწარ განზრახული ქმედება, რომელიც ისჯება მაქსიმუმ ხუთ წლიანი პატიმრობით წარმოადგენს საშუალო სიმძიმის დანაშაულში და ის ქმედებები რომელიც ისჯება მაქსიმუმ ათ წლიანი პატიმრობით წარმოადგენს მძიმე დანაშაულს.

43. 175-ე მუხლის მეორე ნაწილის მეორე და მეოთხე პუნქტის მიხედვით, ყაჩაღობა რომელიც არის სხვისი ქონების მოპარვის მიზნით ჩადენილი თავდასხმა რომელსაც თან ახლავს ძალადობა რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს, თუ ჩადენილი დიდი ოდენობის ქონების მოპარვის მიზნით იარაღის ან სხვა იარაღის მსგავსი ნივთის გამოყენებით, ისჯება პატიმრობით ექვსიდან ათ წლამდე.

ბ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (ძალაში 1999 წლის 12 იანვრიდან)

1. აპელაციის უფლება

44. მე-6-ე მუხლის მე-10-ე პუნქტის მიხედვით საბოლოა გადაწყვეტილება რომელიც მიღებულია ორგანოს მიერ რომელიც განიხილავს საქმეს და რომელიც ზღუდავს საქმის წარმოების გაგრძელებას ან აღძვრას ან გამოაქვს გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე.

45. 65-ე მუხლის მეორე ნაწილის (20) მიხედვით, ბრალდებული უფლებამოსილია შეიტანოს სააპელაციო სარჩელი საგამოძიებო ოფიცრის, გამომძიებლის, პროკურორის და სასამართლოს ქმედების და გადაწყვეტილების წინააღმდეგ, მათ შორის ვერდიქტსა და სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებაზე.

46. 384-ე მუხლის მიხედვით, რომელიც მოცემულ დროს ძალაშია, სააპელაციო სარჩელი შეიძლება შეტანილ იქნას მხოლოდ პირველი ინსტანციის საბოლოო გადაწყვეტილებაზე.

2. პატიმრობა

47. 134-ე მუხლის მიხედვით, აღმკვეთი ღონისძიებებია ის იძულების ღონისძიებები რომელიც ვრცელდება დაკავებულსა ან ბრალდებულზე იმისათვის რომ მოხდეს მათი არაკანონიერი ქმედების აღკვეთა სისხლის სამართლის საქმის წარმოების და

გადაწყვეტილების მიღების პროცესში. აღკვეთის მექანიზმებში შედის, *inter alia*, პატიმრობა და გირაო.

48. მუხლი 135 უზრუნველყოფს სასამართლოს მიერ აღმკვეთი ღონისძიების გამოყენებას მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც სისხლის სამართლის საქმეზე მოპოვებული მასალების მიხედვით არსებობს საკმარისი საფუძველი იმისა რომ ეჭვმიტანილი ან ბრალდებული: (1) მიემალა საქმის მწარმოებელ ორგანოს; (2) წინასასამართლო ან სასამართლო წარმოებისას შეაფერხა საქმის გამოძიების პროცესი სისხლის სამართლის საქმის წარმოების მონაწილე პირებზე ზემოქმედებით, საქმისათვის მნიშვნელოვანი მასალების გაყალბებით ან დამალვით, კანონიერი საფუძვლის გარეშე საქმის მწარმოებელი ორგანოს წინაშე არ გამოცხადებით, ან სხვა საშუალებით; (3) სისხლის სამართლით აკრძალული ქმედების ჩადენით; (4) სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის და დაკისრებული სასჯელის თავიდან არიდებით; ან (5) გადაწყვეტილების აღსრულებისთვის ხელის შეშლით. პატიმრობა და გირაო შეიძლება პირზე გავრცელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ უმკაცრესი სასჯელი განსაზღვრული ნაგულვები დანაშაუალისთვის არის პატიმრობა ერთ წელზე მეტი ვადით ან თუ არსებობს საკმარისი საფუძველი იმისა რომ ეჭვმიტანილმა ან ბრალდებულმა შესაძლოა ჩაიდინოს რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილი ქმედება. აღმკვეთი ღონისძიების დაკისრების საჭიროებაზე მსჯელობისას ან ეჭვმიტანილზე ან ბრალდებულზე დასაკისრებელი აღმკვეთი ღონსიძიების ფორმის არჩევის პროცესში, შემდეგი უნდა იყოს გათვალისწინებული: (1) ნაგულვები დანაშაულის ბუნება და საფრთხის ხარისხი; (2) ეჭვმიტანილის ან ბარლდებულის პიროვნება; (3) მისი ასაკი ან ჯანმრთელობის მდგომარეობა; (4) მისი სქესი; (5) მისი საქმიანობა; (6) მისი ოჯახური მდგომარეობა და შვილების რაოდენობა, მათი ყოლის შემთხვევაში; (7) მისი ქონებრივი მდგომარეობა; (8) აქვს თუ არა ეჭვმიტანილს მუდმივი საცხოვრებელი და (9) სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები.

49. მუხლი 136 ნაწილი 2 უზრუნველყოფს რომ პატიმრობა და გირაო შეიძლება პირს დაეკისროს მხოლოდ სასამართლოს მიერ გამომძიებლის ან პროკურორის მოთხოვნის საფუძველზე ან სასამართლოს საკუთარი შუამდგომლობით მის მიერ სისხლის სამართლის საქმის გამოკვლევისას. სასამართლოს შეუძლია

პატიმრობა შეცვალოს გირაოთი, ასევე დაცვის მხარის მოთხოვნის საფუძველზე.

49. 138-ე მუხლის ნაწილი 3-ის მიხედვით სისლხის სამართლის საქმის წინასასამართო წარმოების ეტაპზე დაკავების პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს ორ თვეს, გარდა კოდექსით განსაზღვრული შემთხვევებისა. სისხლის სამართლის საქმის წინასასამართლო წარმოების ეტაპზე დაკავების პერიოდი წყდება იმ დღეს როდესაც პროკურორი სისხლის სამართლის საქმეს გადასცემს სასამართლოს ან როდესაც პატიმრობა, როგორც აღმკვეთი ღონისძიება, უქმდება.

50. მუხლი 143 ნაწილი 1 ადგენს რომ "გირაო" არის თანხა, წილი ან სხვა ქონება დეპონირებული სასამართლოში ერთი ან რამოდენიმე პირის მიერ იმისათვის რომ მოხდეს ნაკლებად მძიმე და საშუალო სიმძიმის დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის პატიმრობიდან გათავისუფლება.

51. მუხლი 285 ნაწილი 1-ის მიხედვით, პროკურორის ან გამომძიებლის მოთხოვნა პატიმრობის შეფარდების ან გაგრძელების თაობაზე უნდა შეიცავდეს მიზეზებს და საფუძვლებს რომელიც ამტკიცებს ეჭვმიტანილის პატიმრობის საჭიროებას. მასალები რომელიც ასაბუთებს მოთხოვნას უნდა თან ერთვოდეს მას.

...

სამართალი

...

III. კონვენციის მე-5-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაძლო დარღვევა

83. განმცხადებელმა განაცხადა რომ ეროვნულმა სასამართლომ ვერ უზრუნველყო მისი ხანგრძლივი დაკავების მიზეზები და მისი გირაოს საფუძველზე გათავისუფლება კანონით იყო შეზღუდული ჩადენილი დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე. იგი დაეყრდნო კონევნციის მე-5-ე მუხლის მე-3-ე ნაწილს რომელიც ამბობს: "3. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის (გ) ქვეპუნქტის დებულებების თანახმად, დაკავებული ან დაპატიმრებული ყველა პირი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებისათვის კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს და მას უფლება უნდა ჰქონდეს, მისი საქმე განიხილოს სასამართლომ

გონივრულ ვადაში, ან გათავისუფლდეს საქმის განხილვის განმავლობაში. გათავისუფლება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლო პროცესზე გამოცხადების გარანტიებით".

...

ბ. საქმის არსებითი მხარე

1. განმცხადებლის გაჭიანურებული პატიმრობისთვის შესაძლო შეზღუდული საფუძვლები

(ა) მხარეების პოზიციები

89. სახელმწიფომ განაცხადა რომ ეროვნულმა ორგანოებმა უზრუნველყვეს შესაბამისი და საკმარისი მიზეზები განმცხადებლის გაჭიანურებული პატიმრობისათვის, როგორიცაა, მიმალვა, მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლა, და დამატებით დანაშაულის ჩადენა მისი დანაშაულებრივი წარსულის გათვალსიწინებით.

90. განმცხადებელმა კი განაცხადა რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ უზრუნველყვეს საკმარისი საფუძვლების წარმოდგენა მისი გაჭიანურებული პატიმრობისთვის და უბრალოდ მიუთითეს კანონის მუხლებზე და არ შეისწავლეს საქმის კონკრეტული გარემოებები.

(ბ) სასამართლოს შეფასება

(i) ზოგადი პრინციპები

91. პირი რომელსაც წაეყენა ბრალი ყოველთვის უნდა გათავისუფლდეს წინასწარი პატიმრობიდან სასამართლო პროცესამდე გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც სახელმწიფო შეძლებს წარმოადგინოს "შესაბამისი და საკმარისი" მიზეზები პირის გაჭიანურებული პატიმრობისა. (იხილეთ *Smirnova v. Russia*, # 46133/99 და 48183/99, § 58, ECHR 2003-IX (ამონარიდები); *Becciev v. Moldova*, # 9190/03, § 53, 4 ოქტომბერი, 2005; *Khodorkovskiy v. Russia*, # 5829/04, § 182, 31 მაისი 2011).

91. ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა შეამოწმონ ყველა ფაქტები რომლებიც ეწინააღმდეგება ან ამართლებს საჯარო ინტერესის ჭეშმარიტი მოთხოვნების არსებობას უდანაშაულობის

პრეზუმციის გათვალისწინებით, პირის თავისუფლების პატივისცემის უფლებიდან გადახვევას და ჩამოაყალიბოს ის საკუთარ გადაწყვეტილებაში პატიმრობიდან გათავისუფლების თაობაზე (იხილეთ *Letellier v. France*, 26 ივნისი 1991, § 35, სერია A #. 207). გათავისუფლების მხარდამჭერი ან საწინააღმდეგო არგუმენტების არ უნდა იყოს ზოგადი და აბსტრაქტული (იხილეთ *Clooth v. Belgium*, 12 დეკემბერი 1991, § 44, Series A #. 225).

92. დაკავებული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის დასაბუთებული ეჭვის ურყეობა წარმოადგენს პატიმრობის გაჭიანურების კანონიერების არსებით გარემოებას *sine qua non,* მაგრამ გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ ეს საფუძველი არ არის დამაკმაყოფილებელი. ესეთ შემთხვევაში, სასამართლომ უნდა დაადგინოს სხვა საფუძვლები წარმოდგენილი სასამართლო ორგანოების მიერ ამართლებს თუ არა თავისუფლების აღკვეთის გახანგრძლივებას. როდესაც ესეთი საფუძვლები არის "შესაბამისი" და "საფუძვლიანი", სასამართლომ ასევე უნდა დაადგინოს კომპეტენტურმა ეროვნულმა ორგანოებმა გამოავლინეს თუ არა "განსაკუთრებული გულმოდგინეობა" პროცედურების წარმოებისას. (იხილეთ *Labita v. Italy* [GC], #. 26772/95, § 153, ECHR 2000-IV).

93. სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილია სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებამდე პირის, რომელიც ეჭვმიტანილია დანაშაულის ჩადენაში, დაკავების ოთხი ძირითადი დასაშვები მიზეზი: ბრალდებული პირის სასამართლოში არ გამოცხადების რისკი (იხილეთ *Stögmüller v. Austria*, 10 ნოემბერი 1969, § 15, სერია A # 9); რისკი იმისა რომ ბრალდებული პირის პატიმრობიდან გათავისუფლების შემთხვევაში იგი განახორციელებს ისეთ ქმედებებს რომლითაც ზიანი მიადგება მართლმსაჯულების განხორციელებას (იხილეთ *Wemhoff v. Germany*, 27 ივნისი 1968, § 14, სერია A # 7) ან ჩაიდენს დანაშაულს (იხილეთ *Matznetter v. Austria*, 10 ნოემბერი 1969, § 9, სერია A #. 10) ან გამოიწვევს საზოგადოებრივ არეულობას (იხილეთ *Letellier*, ზემოთ მითითებული, § 51).

94. ბრალდებული პირის მიერ მართლმსაჯულებისგან მიმალვის საფრთხე ვერ გაიზომება მხოლოდ მოსალოდნელი სასჯელის რისკით. ის უნდა შეფასდეს სხვა ბევრ მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად რომელიც ან დაადასტურებს მართლმსაჯულებისგან მიმალვის საფრთხის არსებობას ან მას იმდენად უმნიშვნელოდ წარმოაჩენს რომ ის ვერ იქნება საკმარისი

საფუძველი სასამართლო პროცესამდე პირის პატიმრობის გაჭიანურების (იხილეთ *Yağcı and Sargın v. Turkey*, 8 ივნისი 1995, § 52, სერია A #319-A). მიმალვის რისკი უნდა შეფასდეს იმ ფაქტორებთან ერთად რომელიც წარმოადგენს პიროვნების მახასიათებლებს, მის მორალურ თვისებებს, საცხოვრებელს, საქმიანობას, ქონებას, ოჯახური მდგომარეობა და ყველა სხვა შესაძლო კავშირების ამ პიროვნების იმ ქვეყანასთან სადაც ხდება მისი გასამართლება. მძიმე სასჯელის მოლოდინი და მტკიცებულების წონა შესაძლოა იყოს შესაბამისი მაგრამ ვერ იქნება გადამწყვეტი და გარანტიის მიღების შესაძლებლობა უნდა იქნას გამოყენებული რისკის დაბალანსებისთვის (იხილეთ *Neumeister v. Austria*, 27 ივნისი 1968, § 10, სერია A #8).

95. ბრალდებულის მიერ პროცედურების სწორად წარმართვაზე ხელის შეშლის შესაძლო საფრთხე ვერ იქნება თეორიულად (*in abstracto)* გაზიარებული; ის უნდა იყოს გამყარებული ფაქტობრივი გარემოებებით (იხილეთ *Trzaska v. Poland*, # 25792/94, § 65, 11 ივლისი 2000).

(ii) ზემოთ განხილული პრინციპების მოცემულ საქმეში გამოყენება

96. მოცემულ საქმეში, სასამართლო აღნიშნავს, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა, როდესაც გამოიტანეს გადაწყვეტილება მომჩივანის პატიმრობის და ამ ვადის გახანგრძლივების თაობაზე ისინი ეფუძნებოდნენ ბრალდებულის მიერ მართლმსაჯულებისგან მიმალვის და საქმის წარმოების პროცედურებისთვის ხელის შეშლის საშიშროებას გამოწვეულს მძიმე სასჯელის დაკისრებით და ზოგიერთ შემთხვევაში იმით რომ რამოდენიმე საგამოძიებო ღონისძიების გახორციელება იყო საჭირო და საპროცესო მოქმედებები არ იყო დასრულებული.

97. სასამართლო მიიჩნევს, რომ ისეთი საფუძველი როგორიცაა დამატებითი საგამოძიებო ღონისძიებების გატარების საჭიროება და საპროცესო მოქმედებების დაუსრულებლობა არ შეესაბამება არცერთ მისაღებ მიზეზს რომლის საფუძველზეც შესაძლოა მოხდეს პირის პატიმრობის გახანგრძლივება სასამართლო პროცესამდე მე-5-ე მუხლის მე-3-ე ნაწილის ფარგლებში.

98. რაც შეეხება მართლმსაჯულებსითვის ხელის შეშლის და მიმალვის საფრთხეს, სასამართლო მიუთითებს რომ როგორც რაიონული სასამართლო ისე სააპელაციო სასამართლო ზღუდავს საკუთარ თავს და აბსტრაქტულად და სტერეოტიპულად იმეორებს

ამ საფუძვლებს საკუთარ გადაწყვეტილებაში, ყოველგვარი მიზეზების მითითების გარეშე, იმის თაობაზე თუ რატომ მიიჩნიეს მათ კარგად დასაბუთებულად ბრალდება რომ განმცხადებელი შესაძლოა მიმალულიყო ან ხელი შეეშალა საქმის წარმოების პროცესისთვის. ისინი არც განმცხადებლის არგუმენტების უარყოფას ეცადნენ. ზოგადი მითითება დანაშაულის სიმძიმიზე რომელიც ბრალად ედებოდა განმცხადებელს და რომელსაც სასამართლო რამოდენიმე შემთხვევაში დაეფუძნა, ვერ ჩაითვლება შესაძლო რისკის საკმარის საფუძვლად.

99. ზემოთ განხილულის ფარგლებში, სასამართლო მიიჩნევს რომ ლორის რაიონული სასამართლოს და სისხლის სამართლის და სამხედრო სააპელაციო სასამართლოს მიერ მათ გადაწყვეტილებებში ჩამოყალიბებული საფუძვლები განმცხადებლის პატიმრობის და ამ ვადის გახანგრძლივების შესახებ არ იყო "შესაბამისი და საკმარისი". შესაბამისად, ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5-ე მუხლის მე-3-ე ნაწილის დარღვევას.

2. გირაოს საფუძველზე გათავისუფლების შეუძლებლობა

(ა) მხარეების პოზიციები

100. განმცხადებელმა განაცხადა რომ უარი მის მოთხოვნაზე გაეთავისუფლებინათ პატიმრობიდან გირაოს საფუძველზე რომელიც დასაბუთებული იყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143-ე მუხლის პირვლეი ნაწილით ეწინააღმდეგებოდა მე-5-ე მუხლის მე-3-ე ნაწილით განსაზღვრულ გარანტიებს.
101. სახელმწიფოს ამ საკითხზე შენიშვნა არ გაუკეთებია

(ბ) სასამართლოს შეფასება

102. სასამართლო აღნიშნავს რომ მე-5-ე მუხლის მე-3-ე ნაწილის მიხედვით უფლებამოსილი ორგანოები როდესაც იღებენ გადაწყვეტილებას პირი უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან თუ მისი პატიმრობა უნდა გაგრძელდეს ვალდებულნი არიან განიხილონ ალტერნატიული საშუალებები რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება პირის სასამართლო პროცესზე გამოცხადება. ეს მუხლი არა მარტო უზრუნველყოფს უფლებას "გონივრულ ვადაში სასამართლო განხილვის ან სასამართლო პროცესამდე გათავისუფლებას" არამედ ასევე უზრუნველყოფს

რომ ”გათავისუფლება უნდა იყოს განპირობებული სასამართლო პროცესზე გამოცხადების გარანტიით” (იხილეთ *Jablonski v. Poland*, # 33492/96, § 83, 21 დეკემბერი 2000).

103. სასამართლო დამატებით მიუთითებს რომ მას დადგენილი აქვს მე-5-ე მუხლის მე-3-ე ნაწილის დარღვევა რამოდენიმე შემთხვევაში როდესაც მოთხოვნა გირაოთი გათავისუფლებაზე ავტომატურად იქნა უარყოფილი კანონის საფუძვლით (იხილეთ *Caballero v. the United Kingdom* [GC],# 32819/96, § 21, ECHR 2000-II, და *S.B.C. v. the United Kingdom*,# 39360/98, §§ 23-24, 19 ივნისი 2001).

104. მოცემულ საქმეში განმცხადებლის მოთხოვნები გათავისუფლებული ყოფილიყო პატიმრობიდან გირაოს საფუძველზე ასევე არ იქნა დაკმაყოფილებული იმ საფუძვლით რომ მას ბრალად ედებოდა დანაშაული, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის მე-19-ე მუხლით კვალიფიცირდებოდა როგორც მძიმე დანაშაული და რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით აკრძალული იყო გირაოთი გათავისუფლება მსგავს შემთხვევებში. სასამართლო მიიჩნევს რომ განმცხადებლის გირაოთი გათავისუფლების მოთხოვნის ესეთი ავტომატური უარყოფა არ ჯდება მისი პატიმრობის კონკრეტული გარემოებების სასამართლო კონტროლის ფარგლებში და არ შეესაბამება მე-5-ე მუხლის მე-3-ე ნაწილით გარანტირებულ უფლებებს.

105. შესაბამისად ამ შემთხვევაში ადგილი აქვს კონვენციის მე-5-ე მუხლის მე-3-ე ნაწილის დარღვევას.

...

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ

...

4. *დაადგინა,* რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5-ე მუხლის მე-3-ე ნაწილის დარღვევას ვინაიდან გაჭიანურებული პატიმრობისთვის არ იყო უზრუნველყოფილი შესაბამისი და საკმარისი საფუძვლები.

5. *დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5-ე მუხლის მე-3-ე ნაწილის დარღვევას განმცხადებლის მოთხოვნაზე გათავისუფლებული ყოფილიყო გირაოს საფუძველზე ავტომატური უარით.*

...

მომზადებულია ინგლისურ ენაზე, შეტყობინება გაგზავნილია 2012 წლის 26ივნისს, სასამართლოს წესების 77–ე წესის მე–2 და მე–3–ე ნაწილების მიხედვით

სანტიაგო კუესადა — განმწესრიგებელი

ჯოზეფ კასადევალი — პრეზიდენტი

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2012
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ოფიციალური ენებია ინგლისური და ფრანგული. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით (www.coe.int/humanrightstrustfund). იგი სასამართლოსათვის სავალდებულო ხასიათს არ ატარებს და არც მის ხარისხზე აკისრებს პასუხისმგებლობას. მოცემული დოკუმენტი შეიძლება ჩამოტვირთულ იქნას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს HUDOC სასამართლო პრაქტიკის მონაცემთა ბაზიდან (http://hudoc.echr.coe.int) ან ნებისმიერი სხვა მონაცემთა ბაზიდან, რომელთანაც სასამართლომ მოახდინა მისი გაზიარება. დასაშვებია თარგმანის რეპროდუქცირება არაკომერციული მიზნებისათვის იმ პირობით, რომ მოხდება საქმის სრული სახელწოდების ციტირება, მოცემულ საავტორო უფლებების აღნიშვნასა და ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდზე მითითებით. წინამდებარე თარგმანის ნებისმიერი ნაწილის კომერციული მიზნებით გამოყენების სურვილის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვწეროთ შემდეგ მისამართზე: publishing@echr.coe.int.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2012
The official languages of the European Court of Human Rights are English and French. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court, nor does the Court take any responsibility for the quality thereof. It may be downloaded from the HUDOC case-law database of the European Court of Human Rights (http://hudoc.echr.coe.int) or from any other database with which the Court has shared it. It may be reproduced for non-commercial purposes on condition that the full title of the case is cited, together with the above copyright indication and reference to the Human Rights Trust Fund. If it is intended to use any part of this translation for commercial purposes, please contact publishing@echr.coe.int.

© Conseil de l'Europe/Cour européenne des droits de l'homme, 2012
Les langues officielles de la Cour européenne des droits de l'homme sont le français et l'anglais. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour, et celle-ci décline toute responsabilité quant à sa qualité. Elle peut être téléchargée à partir de HUDOC, la base de jurisprudence de la Cour européenne des droits de l'homme

(http://hudoc.echr.coe.int), ou de toute autre base de données à laquelle HUDOC l'a communiquée. Elle peut être reproduite à des fins non commerciales, sous réserve que le titre de l'affaire soit cité en entier et s'accompagne de l'indication de copyright ci-dessus ainsi que de la référence au Fonds fiduciaire pour les droits de l'homme. Toute personne souhaitant se servir de tout ou partie de la présente traduction à des fins commerciales est invitée à le signaler à l'adresse suivante : publishing@echr.coe.int.